საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 20 0001219694

22/12/2020

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 272 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 32 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 276-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის დებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 31 ივლისს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა № 650065 სააკრედიტაციო განაცხადი „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 11 აგვისტოს № 681656 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 9 სექტემბრის № 806205 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 21 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 26 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			√	
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
		√		

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3.საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 8 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის შეფასება და მე-5 სტანდარტი, ნაცვლად "შესაბამისია მოთხოვნებთან" შეაფასა როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების 2 შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, 3^2 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, შესაბამისად აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 16 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 22 დეკემბრის №1218897 სხდომის ოქმის № 1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები, დამატებით განსაზღვრა რეკომენდაციები, საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

ა) საჭიროა პროგრამის მიზანი დაზუსტდეს მისანიჭებელიკვალიფიკაციისა და 0716 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას ,,მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების, გადაზიდვების პროცესების ორგანიზებისა და მართვის მიმართულებები“, რომელიც მიეკუთვნება ,,ტრანსპორტის მომსახურების“ (დეტალური სფერო 1041) სწავლის სფეროს;

ბ) საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგები დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისადა 0716 დეტალური სფეროს შესაბამისად და ამოღებული იქნას ,,მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების, გადაზიდვების პროცესების ორგანიზებისა და მართვის მიმართულებები“, რომელიც მიეკუთვნება ,,ტრანსპორტის მომსახურების“ (დეტალური სფერო 1041) სწავლის სფეროს;

გ) სასწავლო პროგრამაში შემავალი: „კონცენტრაცია 1-ტრანსპორტის უსაფრთხოება“ და „კონცენტრაცია 2 -სატრანსპორტო მომსახურეობა“ საჭიროა იქნას ამოღებული ან გადატანილი თავისუფალიკომპონენტის სასწავლო კურსებში, ვინაიდან არ პასუხობენ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს „0716-ძრავიანი სატრანსპორტოსაშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები“ მოთხოვნებს;

დ) სასწავლო კურსებისთვის: „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები“, „თერმოდინამიკა და სითბოგადაცემა“, „ჰიდრო და აერომექანიკა, ჰიდრო და პნევმო ამძრავები“ საჭიროა განისაზღვროს წინაპირობა„ფიზიკა“;

ე) პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება: საჭიროა პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი იყოს პრაქტიკის მიზანი და სტუდენტების რაოდენობა;

ვ) სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება: მნიშვნელოვანია, აკადემიური დ ამოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობაში, ფუნქცია-მოვალეობებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები;

ზ) აუცილებელია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო დარგობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით;

თ) მატერიალური რესურსები: აუცილებელია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ელექტრონული ვებ პორტალის გამართულიმუშაობა, განსაკუთრებით

არსებულ რთულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებაში ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელების მიზნით;

ი) პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება: საჭიროა პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაში აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად ჩაერთონ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

კ) საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში განისაზღვროს პრაქტიკაზე დაშვების სასწავლო კურსების ჩამონათვალი წინაპირობის სახით და გაიწეროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე კომპეტენციის - ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა სწავლის შედეგები;

ლ) საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებიდან და მიზნებიდან გამომდინარე დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით „სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერი“.

რჩევები:

ა) პროგრამის მიზნები: სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროგრამის განვითარებაში უფროაქტიური ჩართულობის წახალისებისა და მათი წვლილის მნიშვნელოვნების გაცნობიერების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენება;

ბ) სასწავლო კურსი: სასურველია სასწავლო კურსში„ჰიდრო და აერომექანიკა, ჰიდრო და პნევმო ამძრავები“ აერომექანიკის თემატიკის საკითხების სწავლებას მეტი ყურადღება მიექცეს;

გ) სასურველია სასწავლო კურსისთვის „მანაქანათა ნაწილები“ უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალი-2010 წლის შემდგომი ლიტერატურული გამოცემების გამოყენებას;

დ) სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება: სასურველია, საკონსულტაციო საათების განსაზღვრის პრინციპი გადაიხედოს და შემუშავდეს მეტად რეალისტური გეგმა იმისათის, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ნებისმიერ ლექტორთან, საჭიროებისამებრ, გაიარონ კონსულტაცია;

ე) სასურველია, უნივერსიტეტმა მეტად იმუშაოს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებაზე, რომ აქტიურად ისარგებლონ სტუდენტებისთვის განკუთვნილი სერვისებით;

ვ) ხარისხის შიდა შეფასება: შიდა ხარისხის სამსახურის მიერ სამუშაოების ჩატარებისას სასურველია განხორციელდეს დეტალებზე ორიენტირებული მიდგომა, რაც მომავალში უზრუნველყოფს პროგრამის მეტად დახვეწასა და გაუმჯობესებას.

ზ) ვინაიდან სასწავლო კურსი „შესავალი სპეციალობაში“ მოიცავს საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებულ საკითხებს, სასურველია სილაბუსი გაძლიერდეს დარგში არსებული უახლესი ლიტერატურით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 22 დეკემბერს.

6.საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6,აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 25; 16.09.2011 წ
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	1.ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა 2.სატრანსპორტო–ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716/ ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ. N98, ქუთაისი, 4600, საქართველო. სასწავლო კორპუსი N 7, 8, 9, 11
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 22 დეკემბერი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 22 დეკემბერი